24/03/2026

MES 5 26 0000353047

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლა:
ეკატერინე ბუაჩიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლა:
ნათია მახარობლიძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N214 საჯარო სკოლა:
ნინო კენკებაშვილი- სკოლის დირექტორი

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლა:
ქეთევანი ირომაშვილი-ჯაჭვაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა:
ირინა ხელისუფალი- სკოლის დირექტორი

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლა:
მალხაზ სამსონია- სკოლის დირექტორი

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლა:
ნანული ბოლქვაძე- სკოლის დირექტორი მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლა:
შორენა მამუკაშვილი- სკოლის დირექტორი

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლა:
მანანა ლონდარიძე - სკოლის დირექტორი მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ ბაღდათის N2 საჯარო სკოლა:
ლალი აბჟანდაძე- სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლა:
ა) ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა ეუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლა
ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა ტაბატაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N214 საჯარო სკოლა:
ა) გულნარა ხაბურზანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანა კვიჟინაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 11 მარტს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N214 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქალაქ ბაღდათის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

1. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 15 და 16 იანვარს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად“ შესაბამისი, მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო მე-4 სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, სკოლაში გამოვლინდა რიგი ხარვეზები, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა გაწერილი სკოლაში დასაქმებული ყველა პირის ფუნქციები; უფლებამოსილებები არ იყო თანამშრომლებზე იმგვარად დელეგირებული, რომ არ მომხდარიყო ფუნქციათა აღრევა ან გადაკვეთა; ასევე, სკოლას არ ჰქონდა თანამშრომლების, მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის სისტემა. ექსპერტის თქმით, სკოლის მიმართ ასევე გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევები და რეკომენდაციები. ასევე, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის პროცესი..
სკოლის დირექტორმა, ეკატერინე ბუჩაიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებაზე და ხარვეზების გამოსწორებაზე აქტიური მუშაობა.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, დასკვნაში ასახული გარემოების საფუძველზე აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა ხარისხის ჯგუფი და დაინტერესდა, ამ გარემოების გათვალისწინებით, როგორ ხდებოდა ხარისხის უზრუნველყოდა.
სკოლის წარმომადგენელმა, ეკატერინე ბუაჩიძემ, აღნიშნა, რომ ის ეყრდნობოდა საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელებს და სრულად იზიარებდა ექსპერტთა დასკვნას ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ადაპტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული.
სკოლის წარმომადგენელმა, ეკატერინე ბუაჩიძემ, აღნიშნა, რომ წერილით მიმართეს შესაბამის უწყებას და უახლოეს მომავალში სკოლა უზრუნველყოფილი იქნებოდა ლიფტით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:45
დასრულების დრო: 14: 49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლის (ს/კ: 232550851) მონიტორინგთან დაკავშირებით

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივნისში 3.1 და 3.3 ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებული დოკუმენტაციის მოწესრიგების (გაწერილი სკოლაში დასაქმებული ყველა პირის ფუნქციების გაწერის, უფლებამოსილებების თანამშრომლებზე დელეგირების, მასზე მორგებული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემის) სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის რეალურ პროცესებთან შესაბამისობაში მოიყვანის, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში რესურსების კონკრეტულად მითითების, სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტის სრულყოფის, ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მონტაჟის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, ადაპტირებული გარემოს მოწყობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 13 და 14 იანვარს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონტაჟისთვის რა ქმედითი ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას.
სკოლის წარმომადგენელის განმარტებით, სკოლა აქტიურად მუშაობდა აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრაზე და უახლოეს მომავალში აღიჭურვებოდა სკოლა შესაბამისი სისტემით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:09
დასრულების დრო: 15:13

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლასთან (ს/კ: 242576084) მიმართებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პრო გრესის შესახებ
ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის აპრილში სკოლის ვებ-გვერდზე პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების განთავსების, 2028 წლის მარტში შენობა-ნაგებობების (სპორტული და სააქტო დარბაზების) ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სკოლის ტერიტორიაზე არსებული შენობის (N5 შენობა) უსაფრთხოების უზრუნველყოფის და რკინის კონსტრუქციის ხიდის მოწყობის, სრულ ტერიტორიაზე ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მონტაჟის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის პირველ სართულზე მოწყობის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის N214 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებ ის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 და 29 იანვარს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. მისი თქმით, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა როგორც კოჯორში, ასევე კიკეთში მდებარე შენობებში.

ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-3 სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-4 სტანდარტი შეფასდა „შესაბამისად“.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების პრაქტიკას; სკოლა ვერ უზრუნველყოფდა მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას; სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არ იყო საჯარო. ამასთან, სკოლას არ ჰქონდა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. ექსპერტის თქმით, კოჯორში მდებარე სკოლის შენობას არ ჰქონდა ლიფტი ან/და პანდუსი, ეტლით მოსარგებლე პირის სართულებს შორის გადაადგილების უზრუნველსაყოფად. დამატებით, სარეგისტრაციო ჟურნალში 2023 წლის 19 ოქტომბრის შემდეგ ბრძანებები რეგისტრირებული არ იყო.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობების ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის თანახმად, კოჯორში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, დაფიქსირებულ ხარვეზებსა და რეკომენდციებთან მიმართებით რა ქმედითი ნაბიჯები გადადგა სკოლამ.

სკოლის წარომადგენელმა, ნინო კემკებაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლამ აღმოფხვრა ექიმისა და სკოლის დარაჯის დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხი, ასევე, ბიბლიოთეკაში განაახლეს წიგნადი ფონდი, აღმოიფხვრა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებული ხარვეზები, თუმცა ინფრასტრუქტურული საკითხების მოწესრიგებას ესაჭიროებოდა დიდი

ფინანსური რესურსი, რაც სკოლას საკუთარი სახსრებით არ შეეძლო და მიმართეს შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებს.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, მიმდინარეობდა თუ არა კოჯორში მდებარე შენობაში სწავლება და რა მდგომარეობა იყო შენობის მდგრადობასთან მიმართებით.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, კოჯორში მდებარე შენობაში მიმდინარეობდა სწავლება, თუმცა სკოლას ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ უარყოფითი დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N214 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:23

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განაცხადა, რომ დამატებითი გარემოებებისა და დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით, საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული საკითხის გადადებასთან დაკავშირებით. აქვე, სკოლის წარმომადგენელს განუმარტა, რომ მომდევნო საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაცია დამატებით ეცნობებოდათ.

4. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 05 დეკემბერს N1647272 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ვებ - გვერდზე ინფორმაციის სრულად ასახვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ ვებ-გვერდზე ინფორმაციის სრულად ასახვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ქეთევან ირემაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმა უფლებამოსილ უწყებასთან და უახლოეს მომავალში წარმოადგენდნენ ცენტრში, რაც შეეხებოდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, სკოლას მიმართული ჰქონდა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთვის და უახლოეს მომავალში ელოდნენ დასკვნას. მისი თქმით, სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა. აღნიშნულზე სკოლას მიმართული ჰქონდა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან. საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის

შეთანხმებული გეგმა, სკოლის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N117914 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15: 27
დასრულების დრო: 15: 30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 05 დეკემბერს N1647272 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, შენობა - ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა წარმოადგინოს 2028 წლის მარტში, ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა 2026 წლის სექტემბერში, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრისა.

5. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 ოქტომბრის N1397838 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების განსაზღვრის, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების და რესურსების განსაზღვრის, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმების მტკიცებულებები, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაწესებულებამ წარმოადგინა სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგია, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებისა და ვებ-გვერდზე დოკუმენტაციის განთავსების მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორის, ირინე ხელისუფალის განმარტებით, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის მზად ჰქონდათ პროექტი, თუმცა აღნიშნული დაკავშირებული იყო დიდ ფინანსურ ხარჯებთან, რისი საშუალებაც სკოლას არ ჰქონდა და სხვა ორგანოებისგან ელოდნენ მხარდაჭერას.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (სახანძრო უსაფრთხოება) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1397838 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:33
დასრულების დრო: 15:36

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 18 ოქტომბრის N1397838 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრისა.

6. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 09 ნოემბრის N1519224 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, ინდიკატორების, ვადების, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის მტკიცებულებები, პერსონალისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები, ორივე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, კოხის უბანის შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების მტკიცებულებები, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმი, კოხის უბანში მდებარე შენობაზე ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ტექნიკურად გამართვის, სამედიცინო კაბინეტის სრულად აღჭურვის, ექიმის/ექთნის აყვანისა და საზოგადოებრივი წესირგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის მტკიცებულებები, ხოლო სკოლის ძირითად შენობასთან მიმართებით ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, სკოლას უნდა წარმოეგდინა

ვებ-გვერდის გამართულად ფუნქციონირებისა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებების გაფორმების მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა: სამოქმედო გეგმა, მასწავლებელთა ცნობები, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმები, ვიდეო-კამერების გამართვის ფოტო-მასალა, უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება, მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმა, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ადაპტირების, ვებ-გვერდზე ინდიკატორით გათვალისწინებული დოკუმენტაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა იყო უარყოფითი.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 09 ნოემბრის N1519224 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:43
დასრულების დრო: 15:48

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 09 ნოემბრის N1519224 ოქმის მე-2 ნაწილში დასტრატეგიული გეგმის დოკუმენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, ვებ-გვერდზე ინდიკატორით გათვალისწინებული დოკუმენტაციის განთავსების მტკიცებულებების შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს 2026 წლის სექტემბერში, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით 2028 წლის მარტში, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

7. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 11 დეკემბერის N1688623 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლაში ვიდეოკამერების დამონტაჟებისა და ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა ერთი კამერის დამონტაჟბის და ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების მტკიცებულება.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანული ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ ელექტროობის გაუმართაობის გამო დაწესებულება გადასული იყო სხვა შენობაში და სახანძრო უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან მიმართებით არსებულ რეკომენდაციას სკოლა გაითვალისწინებდა, მაშინ როცა დაბრუნდებოდა კუთვნილ შენობაში.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:51
დასრულების დრო: 15:56

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-3 ნაწილში და საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებულ გეგმასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს 2026 წლის სექტემბერში, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით კი შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრისა.

8. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული

რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 20 დეკემბრისს N1739275 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამისი სტატუსის მქონე ფიზიკის მასწავლებლის დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „ინფორმაციის დაცვის მექანიზმების“ შესახებ, ბიბლიოთეკაში ინვენტარიზაციისა და კატალოგიზაციის ღონისძიებების გატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიებით სარგებლობის წესები და ვებ-გვერდზე დოკუმენტაციის ატვირთვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და ინფორმაციის დაცვის მექანიზმების შემუშავების შესახებ დოკუმენტები, ბიბლიოთეკაში ინვენტარიზაციის შესახებ ბრძანება, ლაბორატორიებით სარგებლობის წესები და ვებ-გვერდზე დოკუმენტაციის ატვირთვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და ფიზიკის მასწავლებლის დასაქმების მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
  სკოლის დირექტორის, შორენა მამუკაშვილის თქმით ფიზიკის მასწავლებლის პოზიციაზე ვაკანსია გამოცხადებული ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და ფიზიკის მასწავლებლის დასაქმების მტკიცებულებები) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრისს N1739275 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:04
დასრულების დრო: 16:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 20 დეკემბრისს N1739275 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებამ ფიზიკის მასწავლებლის დასაქმებასთან და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს 2026 წლის სექტემბერში, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით 2028 წლის მარტში, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით, ნაცვლად 2025 წლის დეკემბრისა.

9. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,სკოლის შიდა პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ წარმოადგინა, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შეძენისა და დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მანანა ლონდარიძემ, საგანგებო უსაფრთხოების მართვის გეგმასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად მუშაობდა და უახლოეს მომავალში შეათანხმებდა გეგმას.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:14
დასრულების დრო:16:17

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის (საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა) შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს 2026 წლის სექტემბერში, ნაცვლად 2025 წლის დეკემბრისა.

10. სსიპ -ქალაქ ბაღდათის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის აგვისტომდე ცენტრში წარმოედგინა სკოლის სტრუქტურა, თანამშრომელთა პირად საქმეებში ცნობების განთავსების, სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ექთნის დასაქმების მტკიცებულება, სასკოლო მერხებით სრულად აღჭურვის მტკიცებულება, პანდუსის მოწყობისა და ვებ-გვერდზე ინფორმაციის სრულად განთავსების მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა, სკოლის ხედვა და ღირებულებები, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტი, მდგრადობის დასკვნა, ბრძანება ექთნის დანიშვნის შესახებ, სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, გასაჩივრების პოლიტიკის დოკუმენტი, სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტი.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა და შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ლალი აბჟანდაძემ, აღნიშნა, რომ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის მიმართულებით დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერსდა, რა იყო სკოლის მთავარი სტრატეგიული ამოცანა.
სკოლის დირექტორის, ლალი აბჟანდაძის განმარტებით, სკოლას მთავარი აქცენტი მიმართული ჰქონდა ტექნიკურ უნარებზე და გადადგმული ჰქონდა შესაბამისი ნაბიჯები, მათ შორის, მისი თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა STEM კლუბი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:23
დასრულების დრო:16:27

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ოქმის მე-4 ნაწილში და საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა წარმოადგინოს 2026 წლის სექტემბერში, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ნაცვლად 2025 წლის აგვისტოსა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე